



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

რეფინანსირების სესხები და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მიმოხილვა




www.sab.ge

რეფინანსირების სესხები და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მიმოხილვა

რეფინანსირების განაკვეთი ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით ბაზარზე ფულის მიწოდების ზრდას ან შემცირებას უზრუნველყოფს. რეფინანსირების განაკვეთის შემცირების დროს კომერციულ ბანკებს უმცირდებათ ხარჯი ეროვნული ბანკიდან მოძიებულ ფინანსურ სახსრებზე, შესაბამისად მცირდება საპროცენტო განაკვეთები ბაზარზე და იზრდება ფულის მიწოდება.

2008 წლის აგვისტოდან ეროვნულმა ბანკმა დაიწყო რეფინანსირების განაკვეთის შემცირება, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის 12%-ს შეადგენდა. 2011 წლიდან, როდესაც უკვე არსებობდა დეფლაციის მოლოდინი, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო რეფინანსირების განაკვეთის შემცირება ინფლაციის გასაზრდელად და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხები შეიქმნა 2013 წლის აგვისტოში, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელი -0.8%-ს შეადგენდა. ვინაიდან 2013 წელს რეფინანსირების განაკვეთი იყო უჩვეულოდ დაბალ ნიშნულზე 3.75%-ზე, კომერციულმა ბანკებმაც დაიწყეს რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხების გაცემა 8.75%-დან.

2015 წელს, ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 4%-დან 8%-მდე გაზარდა. შედეგად გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები ბაზარზე და ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე შემცირდა.




გრაფიკი 1. წყარო ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

გრაფიკი 1-ზე მოცემულია რეფინანსირების განაკვეთი, ინფლაცია და რეფინანსირების სესხების მოცულობა 2015 წელს. დაბალი ინფლაციის დროს მოსალოდნელია შემცირებული ნომინალური საპროცენტო განაკვეთები, მაშინ როდესაც მაღალი ინფლაციის პირობებში მოსალოდნელია ნომინალური საპროცენტო განაკვეთების ზრდა. რეფინანსირების განაკვეთის შემცირება ინფლაციის მაჩვენებელზე აისახა, რაც 4.9%-ს შეადგენს, რაც ახლოსაა 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელთან. იმ შემთხვევაში თუ ინფლაციის მაჩვენებელი იქნება სტაბილური, რეფინანსირების განაკვეთის შემდგომი ზრდა არ არის მოსალოდნელი.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთებისგან განსხვავებით, რეალური საპროცენტო განაკვეთი 2015 წლის დასაწყისთან შედარებით მცირედით 2.6%-დან 3.1%-მდე გაიზარდა.

2014 წელს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამ და ეროვნული ბანკის შერბილებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ გამოიწვია ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა. 2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით ინფლაციის წლიური მაჩვენებელმა მცირედით გადააჭარბა 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს და 6.3% შეადგინა.


საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2015 წელს



გრაფიკი 2. წყარო ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge




საბაზრო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 2015 წელს



გრაფიკი 3. წყარო ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

გრაფიკი 2-ზე და გრაფიკი 3-ზე მოცემულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე და დეპოზიტებზე 2015 წელს. ინფლაციის მკვეთრი ზრდის თავიდან ასაცილებლად, ეროვნული ბანკის გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ და რეფინანსირების განაკვეთის ზრდამ გამოიწვია ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა, საშუალოდ 2%-ით. სანაცვლოდ შემცირებულია საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტაში გაცემული სესხებზე, საშუალოდ 0.2%-ით.

ეროვნული და უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2015 წ.



გრაფიკი 4. წყარო ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge



გრაფიკი 4-ზე მოცემულია კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტების მოცულობა ეროვნული და უცხოური ვალუტით. ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების შემცირებამ და რეფინანსირების განაკვეთის ზრდამ გამოიწვია ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შემცირება. კომერციულმა ბანკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე ეროვნული ვალუტით, საშუალოდ 3%-ით. საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით კომერციული ბანკები ცდილობენ გაზარდონ ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები, რაც დადებითად აისახება გაზრდილ დოლარიზაციის მაჩვენებელზე.

ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამ წარმოქმნა ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უარყოფითი მოლოდინები და დღესდღეობით კომერციული სექტორის მიერ მოზიდული დეპოზიტების 70% არის უცხოური ვალუტაში. 2015 წლის დასაწყისთან შედარებით, სპრედი ეროვნული და უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაიზარდა 4.3%-დან 7.5%-მდე.

დასკვნა

რეფინანსირების განაკვეთის ზრდამ გამოიწვია ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე და ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა. საზოგადოება და ბანკები მიიჩნევენ, რომ გაცვლითი კურსის გაუფასურებით გამოწვეული ინფლაციური ფაქტორები ამოწურულია და სხვა თანაბარ პირობებში არ არის მოსალოდნელი რეფინანსირების განაკვეთის მკვეთრი ზრდა.

ჩვენი აზრით, 2015 წლის განმავლობაში გაზრდილმა რეფინანსირების განაკვეთმა გამოიწვია ინფლაციის შემცირება და დადებითად აისახა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე. თუმცა გაზრდილი რეფინანსირების განაკვეთი უარყოფითად აისახება ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ერთობლივ მოთხოვნაზე და ეკონომიკურ ზრდაზე.

მომხმარებლებს შეუძლიათ რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხების გარდაქმნა ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხად და ამით თავს დაიცავენ ყოველთვიური შენატანების ზრდისგან, თუმცა თუ შემცირდება რეფინანსირების განაკვეთი მათ არ შეუმცირდებათ სესხის საპროცენტო განაკვეთი.

საერთო ჯამში, ინფლაციის ზრდასთან ერთად იზრდება ნომინალური საპროცენტო განაკვეთები, თუმცა რეალური საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა არ აღინიშნება.



